სტაჟიორ-გამომძიებელთა შესარჩევი კონკურსი

sis.gov.ge

2020 წელი

რატომ უნდა აირჩიოთ სტაჟირება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურში?

- გახდეთ სტაჟიორთა პირველი ნაკადის მონაწილე და თქვენი როლი შეიტანოთ სამსახურის განვითარების პროცესში;
- პროფესიონალ გამომძიებელთა გუნდთან ერთად, მიიღოთ ცოდნა და გამოცდილება, რომელიც კარიერულ განვითარებაში დაგეხმარებათ;
- დასაქმდეთ ღია კონკურსის გზით და გაიაროთ 1 წლიანი ანაზღაურებადი სტაჟირება. ანაზღაურება - დარიცხული 700 ლარი;
- 1 წლის განმავლობაში მიიღოთ რეალური გამოცდილება. სტაჟიორ-გამომძიებელის უფლებამოსილებები გათანაბრებულია გამომძიებლის უფლებამოსილებებთან;
- გაიაროთ მოსამზადებელი კურსი, ჩაერთოთ კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით დაგეგმილ აქტივობებში და დააგროვოთ ცოდნა, რომელსაც პრაქტიკაში გამოიყენებთ;
- სტაჟირების კონკურსი დასაქმებისა და კარიერული განვითარების რეალურ შესაძლებლობას გაძლევთ.

ვის შეუძლია კონკურსში მონაწილეობის მიღება?

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს

ძირითადი მოთხოვნები:

- უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე;
- უნდა იყოს 18 წლის და ზემოთ;
- უნდა ჰქონდეს უმაღლესი განათლება სამართალმცოდნეობის მიმართულებით;
- საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრში ჩაბარებული უნდა ჰქონდეს ერთიანი საკვალი-ფიკაციო გამოცდა ან/და მოსამართლეობის, პროკურატურის ან ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა საერთო ან სისხლის სამართლის სპეციალიზაციით.

რა ეტაპების გავლა მოგიწევთ კონკურსის ფარგლებში?

ინფორმაცია კონკურსის ეტაპების შესახებ



განაცხადების მიღება

როგორ უნდა შემოიტანოთ განაცხადი?

განაცხადები მიიღება ელექტრონული ფორმით 2020 წლის 5 ოქტომბრიდან 18 ოქტომბრის ჩათვლით საჯარო სამსახურის ბიუროს ვებგვერდის მეშვეობით: www.hr.gov.ge

განაცხადში მითითებული უნდა იყოს არანაკლებ ერთი რეკომენდატორის სახელი, გვარი და საკონტაქტო ინფორმაცია. ამასთან, ქართულ ენაზე შევსებული უნდა იყოს სამოტივაციო წერილის გრაფა, რომელიც უნდა მოიცავდეს თანამდებობით დაინტერესების მიზეზს, კანდიდატის ცოდნას ან/და გამოცდილებას რითაც დასტურდება მისი შესაბამისობა გამოცხადებულ ვაკანტურ პოზიციასთან.

განაცხადს უნდა ერთვოდეს:

- მოქალაქის პირადობის მოწმობის ასლი;
- უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრში ერთიანი საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტის ან/და საერთო/სისხლის სამართლის სპეციალიზაციით პროკურატურის/მოსამართლის/ადვოკატის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

დაინტერესებულ პირებს, რომელთაც სურთ მიიღონ მონაწილეობა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის სტაჟიორთა შესარჩევ კონკურსში, მაგრამ არ აქვთ ჩაბარებული ზემოთ დასახელებული ერთ-ერთი საკვალიფიკაციო გამოცდა, იუსტიციის სასწავლო ცენტრის მიერ გამოცხადებულ ერთიან საკვალიფიკაციო გამოცდაზე რეგისტრაცია დღეიდან შეუძლიათ. დეტალური ინფორმაციისათვის, გთხოვთ, ეწვიოთ შემდეგ ბმულს: http://www.tcj.gov.ge/ka/news/542/

პროფესიული ტესტი

ტესტი მოიცავს 100 ტესტურ დავალებას.

თითოეულ დავალებას ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი. სწორად გაცემული პასუხი ფასდება 1 ქულით, ხოლო არასწორი პასუხი - 0 ქულით.

პროფესიული ტესტირება წარმატებით გავლილად ჩაითვლება და კანდიდატი გადავა შემდეგ საფეხურზე თუ დააგროვებს 75 და მეტ ქულას.

კომენტარი: კონკურსის შემდგომ ეტაპზე გამსვლელი სატესტო ქულის ბარიერი შეიძლება შეიცვალოს საკონკურსო კომისიის მიმართვის საფუძველზე სახელმწიფო ინსპექტორის გადაწყვეტილებით.

საკონკურსო თემატიკა:

- საქართველოს კონსტიტუცია;
- ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის 1950 წლის კონვენცია;
- კონვენცია წამებისა და სხვა სახის სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ;
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი;
- საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი;
- „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი;
- „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონი;
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი (I, II და III თავები);
- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი.

ზოგადი უნარების ტესტი

ტესტების რაოდენობა - 80.

თითოეულ დავალებას ახლავს ოთხი სავარაუდო პასუხი, რომელთაგან მხოლოდ ერთია სწორი. სწორად გაცემული პასუხი ფასდება 1 ქულით, ხოლო არასწორი პასუხი - 0 ქულით.

ზოგადი უნარების ტესტი წარმატებით გავლილად ჩაითვლება და კანდიდატი გადავა შემდეგ საფეხურზე თუ დააგროვებს 56 და მეტ ქულას.

კომენტარი: კონკურსის შემდგომ ეტაპზე გამსვლელი სატესტო ქულის ბარიერი შეიძლება შეიცვალოს საკონკურსო კომისიის მიმართვის საფუძველზე სახელმწიფო ინსპექტორის გადაწყვეტილებით.

რა პროფესიულ და პიროვნულ უნარ-ჩვევებს უნდა ფლობდეს კანდიდატი?

საჭირო უნარები:

- ესმის სამსახურის მისია, პროფესიული ეთიკა და საზოგადოებრივი სარგებელი;
- აქვს ეფექტური კომუნიკაციის უნარი;
- ფლობს ცვლილებებისა და სიახლეების ინიცირების უნარს;
- აქვს დამოუკიდებელი მუშაობის უნარი;
- აქვს გუნდური მუშაობის უნარი;
- ფლობს კომპლექსური აზროვნების უნარს;
- არის დეტალებზე ორიენტირებული;
- ფლობს პრობლემების ანალიზის უნარს;
- აქვს დროის ეფექტიანი მართვის უნარი;
- აქვს საქმის დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი;
- ფლობს ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის უნარს;
- აქვს სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარი.

სახელმწიფო
ინსპექტორის სამსახური
STATE INSPECTOR'S SERVICE

მადლობა ყურადღებისთვის !

მისამართი: ქ. თბილისი, ნ. ვაჩნაძის ქ. №7
ტელეფონი: (+995 32) 242 1000
ელ. ფოსტა: office@stateinspector.ge
ვებგვერდი: sis.gov.ge